





**ესმა ონიანი** დაიბადა თბილისში 1938 წ. 1963 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. 1966-67 წლებში ესმა ონიანი მუშაობდა ტელევიზიაში დამდგმელ მხატვრად. 1969 წლიდან გარდაცვალებამდე (1999 წ. 31 იანვარი) მოღვაწეობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ფერწერის კათედრაზე. მონაწილეობდა გამოფენებში: თბილისში, მოსკოვში, კიშინიოვში, ვილნიუსში, იურმალაში, ერევანში, ბულგარეთში, იაპონიაში, ბელგიაში. ესმა ონიანის ნამუშევრები ინახება საქართველოს ეროვნული გალერეის ფონდებში და კერძო კოლექციებში. 1982 წ. ესმა ონიანის მიერ შესრულებულ მხატვარ „დავით კაკაბაძის პორტრეტს“ მიენიჭა წლის საუკეთესო ნამუშევრის წოდება. პერიოდულად იბეჭდებოდა მისი ლექსები და წერილები (გამოცემულია ლექსების 4 კრებული).

**ESMA ONIANI** was born in Tbilisi in 1938. She graduated from the Tbilisi Academy of Arts in 1963. Between 1966-1967 Esma Oniani worked at the State TV Corporation as a designer. Since 1969 she had been teaching at the Department of Oil Painting at the Tbilisi Academy of Arts until she died in 1999. Her paintings were widely exhibited in Tbilisi, Moscow, Kishiniov, Vilnius, Jurmala, Erevan and also in Bulgaria, Belgium, Japan. At present her works are stored in the National Gallery and some of them can be found in private collections. In 1982 she was awarded an annual prize for the portrait of David Kakabadze.

3ლ
ი 501/6
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესმა ონიანი

ფერწერა

Painting

# ESMA ONIANI



ქმა ხიანი

ფერწერა

...მხოლოდ ერთ წახნაგზე ვიტყვი ახლა: დატკბები, გაცოცხლდები, აივსები, დაკმაყოფილდები შედევრით, მაგრამ როცა თვითონ ხარ ქმნის, მუშაობის, შემოქმედების პროცესში, — ეს ჯაბნის ყველაფერს, მთლიანად მოგიცავს, ესაა ყველაფერი, ესაა ყველაზე გემოსდამაამებელი, საჭირო, ტკბილი, მნიშვნელოვანი, სიცოცხლის აზრი და სხვისი — მოუცლელობაში რჩება, მარტოა, შენი ყურადღების გარეშეა. ზოგჯერ ჩემს სურათთან, ქმნის პროცესში, სურათის სიცხოველეში რომ ვარ, გამხსენებია „მარტო“ დარჩენილები და შემცოდებია, გული მომიკვდება ხოლმე, რომ ახლა სადღაც სიჩუმეში არიან ისინი და რომ ჩემთვის, ასეთი მოყვარულისთვისაც კი, ისინი სადღაც მიკარგულან, გაუხსენებლობაში, — ჩემი ქმნის, ჩემი სურათით ტანჯვა-სიამის შუქზე, ჩემს ცხოველ ამწუთიერობაში; მერე წარმოვიდგენ და კიდევ უფრო მომეწურება გული; აი, მომავალში სხვა რომ იქნება თავის სურათთან, თავის სიყვარულში და ჩემი გადავა მის მოუცლელობაში, სიჩუმეში. მაგრამ ამავე დროს, ისევ გულს რომ მივმართავ და ჩავიხედავ, — იქ უანგარო, ერთგული სიყვარულია, დაუკარგაობა, ტკბობა და დაფასება სხვისი და მაშინ დაბეჯითებით ვიცი, რომ ნამდვილი ნაწარმოებები ერთმანეთში ცხოვრობენ. და ის, ვინც თავდავიწყებულ ქმნის პროცესშია, ამავე დროს „მარტო“ დარჩენილებსაც ატარებს მუცლით.







... But when you are in the process of creating, it surpasses all, engrossing you; it is all, the sweetest, most important, the meaning of life, having not time for others; others remain outside your care. Occasionally, when I am with my picture, in the process of creating it, I recall and pity those remaining 'alone'. My heart shrinks to think that they are somewhere in silence, lost for me in the lack of remembrance, owing to my being busy with my picture, with its suffering and joy; then I imagine, and my heart sinks further: in the future, when some other will be busy with his/her pictures, with his/her love, and mine will pass into his lack of time - into silence. At the same time, however, when I again address my heart, I see disinterested, loyal love in it, possession, enjoyment and appreciation of others, and then I know for sure that genuine works live in each other, and that he/she who is in the process of creation, at the same time is pregnant with those left 'alone'.













...იბადება ადამიანი და მასში მარადიულის ხსოვნა, ერთიანობა უსასრულობასთან ცინცხალია. უმეტესობა ასაკის მატებასთან ერთად შორდება მარადიულ-ჭეშმარიტს, იძირება შემოგროვილ ჩენჩოში; მათი სული ძველდება იმ მნიშვნელობით, რომ უიმედოდ შორდება მარადიულ-ძველს; ყველაზე ადამიანური სულის ადამიანები ყველა ასაკში ინარჩუნებენ პირველადი, ბავშვური აღქმის სიმძაფრეს. ადამიანური დრო მათთვის დაბერების, დაძველების, სვლის მნიშვნელობას არ იძენს. მათში არასოდეს არ ქრება მარადისობიდან გამოყოლილი თვისებები, „შთაბეჭდილებები“. არაფრით არ ნელდება მარადიულობის მშობლიური გრძნობა. ადამიანური დრო სასაცილოდ უძლურია დააშოროს ისინი ძირითად შთაბეჭდილება-საწყისს. ისინი უწყვეტლად ატარებენ მშობლის სიყვარულს და უბრუნდებიან მას. ჩემი შემოქმედებით სწორედ ამას მინდა შევახსენებდე ადამიანს, შევახსენებდე რაღაც მივიწყებულს, ძირეულს, ძალიან ნაცნობ-ჩვეულებრივს; არ ვაძლევდე მის სულს პირველადის, ბედნიერის, კეთილის დავიწყების საშუალებას.

... man is born and the memory of the eternal - unity with infinity - is fresh. With age, most human beings move away from the eternal truth, sinking into the chaff accumulated around them; their soul becomes old in the sense of hopelessly moving away from the eternal old; people possessing the most human soul at all ages retain the acuteness of the primordial, childish perception. Human time in them does not assume the meaning of the course of aging or growing old. In them features or „impressions“ stemming from eternity never vanish. The eternal native feeling does not diminish. Human time is ludicrously impotent to separate these features from the basic impression-principle. They continuously carry the parent's love, reverting to it. With my work I want to remind humans precisely this - remind them something forgotten basic, very familiar and ordinary; not to allow their souls to forget the primordial, the happy, the good.